ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბაკურიანი-98“

## ამ თემაზე საუბარი, მით უმეტეს —თვით საქმე, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილებით არ დამთავრებულა და არც უნდა დამთავრდეს



იშვა ახალი იდეა — ეს შესანიშნავი კურორტი ავაშენოთ და დავამშვენოთ საკუთარი ძალებით და სახსრებით, ჩვენივე რესპუბლიკის ორგანიზაციებისა და უცხოეთის ფირმების ერთობლივი თანამშრომლობით.



**ბაკურიანი დღეს თუ ხვალ ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი უნდა გახდეს. 1998 წლისთვის მან არაოფიციალურად მეტოქეობა უნდა გაუწიოს არა მხოლოდ სოჭს, რომელიც დღეს ზამთრის ოლიმპიადა-98-ის მასპინძლობის ერთ-ერთ კანდიდატადაა დასახელებული, არამედ მსოფლიოში აღიარებულ საუკეთესო სპორტულ ცენტრებს. სხვა ჩვენს ადგილზე ჯერ კიდევ აქამდე ისე გამოაბრწყინებდა ამ მარგალიტს, რომ თეთრი ოლიმპიადის ბაკურიანში მოწყობა სათუო არც დღეს იქნებოდა**

## ბაკურიანი სრულიად საქართველოს სიამაყე და საზრუნავია



XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ბაკურიანი მზად უნდა იყოს, რომ არაფრით ჩამორჩეს შემდგომში თეთრი ოლიმპიადების მასპინძლობის კანდიდატებს. ეს თითოეულ ჩვენგანზე და სრულიად საქართველოს საერთო ძალისხმევაზეა დამოკიდებული. მაშ, დავირაზმოთ, გავიღოთ, ვისაც რა შეგვიძლია, დავეხმაროთ ამ კურორტს, რითაც გვსურს და როგორც გვსურს, ოღონდ დავეხმაროთ. ძალა ერთობაშია!





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 172 (10 091) ▲ ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბაკურიანი ჩვენი პრიორიტეტია, მისი კეთილმოწყობა და კონკურენტუნარიანობის მინიჭება— პატრიოტული საქმე!

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ბაკურიანი დასვენებისა და სპორტის ჭეშმარიტად ღირსეული ადგილია. მაგრამ ეს უნდა დავამტკიცოთ საქმით.

დიახ, საქმე, საქმე გვიხმობს, მეგობრებო!

ამ დღეებში გაიხსნება საგანგებო საბანკო ანგარიში — „ბაკურიანი-98“. ანგარიშის ნომერს გაცნობებთ. იდეა „ბაკურიანი-98“ დღეიდან პრაქტიკულ ხორცშესხმას იწყებს.

დაბოლოს ვიტყვით, რომ ეს შესანიშნავი იდეა რედაქციას გააცნო საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯანსულ ბაგრატიონმა. პირადად მას „ბაკურიანი-98“-ის ფონდში პირველს შეაქვს ერთი თვის ხელფასი.
ვინ იქნება შემდეგი?
როგორია თქვენი აზრი ამ აქციასთან დაკავშირებით? გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII

### თვის მონაგარი

# ახალგაზრდობა გვახარებს

საქართველოში გაშლილი ეროვნული მოძრაობა სულ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს. ეროვნული თვითშეგნების აღორძინების გამო უკვე სულ სხვა თვალითა და გრძნობით აღვიქვამთ ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებსაც აქამდე ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევდით. ახლა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა სულ მცირე წარმატებაც კი მომავალი საქართველოს პრიზმაში განიხილება. ბუნებრივია, ზემოთქმული ჩვენს სპორტსმენებსა და მათ გულშემატკივრებსაც ეხებათ.

ქართველი სპორტსმენები და ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების ათლეტები, რომელთაც საქართველოს მომავალი თავიანთ საკუთარ ხვალინდელ დღედ ესახებათ, სარბიელზე თითქოს გაორმაგებული ენერგიით იბრძვიან. იბრძვიან და გამარჯვებებითაც გვახარებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ათლეტთა წარმატებები, რომლებთანაც ჩვენი სპორტის მომავალია დაკავშირებული. აგვისტო სწორედ ახალგაზრდებს შორის გამართული საკავშირო, ევროპისა თუ მსოფლიო პირველობების სიმრავლით გამოირჩეოდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ამ ასპარეზობებში ასევე მრავალი გამარჯვება მოიპოვეს.

და მაინც, აგვისტოს „თვის მონაგარის" გახსენება გვინდა დავიწყოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდების ასპარეზობებში მოპოვებული გამარჯვებებით, რომლებიც ახალგაზრდებისთვის, ჭაბუკებისა და გოგონებისთვის სამაგალითო და ტონისმიმცემია.

მაშ ასე, აგვისტოში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა თბილისელმა სინქრონული ცურვის ოსტატმა ხრისტინა ფალასინიდიმ, რომელმაც ბონში გამართულ სპორტის საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატში ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვა. იგი საბჭოთა სინქრონისტების ისტორიაში გახდა პირველი სპორტსმენი, რომელმაც ერთეულთა ასპარეზობაში ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. რაც შეეხება ვერცხლის მედალს, იგი ჯგუფურ ასპარეზობაში მოიპოვა.

ამრიგად, იგი საბჭოთა სინქრონული ცურვის ოსტატთა ყველა თაობის წარმომადგენელთაგან ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდა.

შევახსენებთ, რომ მანამდე ფალასინიდი იყო სსრ კავშირის ჩემპიონიცა და ევროპის თასის მფლობელიც.

ბონში გამოდიოდა თბილისელი წყალში მხტომელი გიორგი ჩოგოვაძეც. იგი 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა მეტოქეებზე და მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის მედალი.

ერთი სიტყვით, ჩოგოვაძეცა და ფალასინიდიც თავთავიანთ სახეობებში ბონის ჩემპიონატის ჭეშმარიტი გმირები აღმოჩნდნენ.

აგვისტოში დაიბადა საქართველოს სპორტის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი, ბათუმელი დიანა დარჩია. ამ თითისტოლა გოგონამ 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც პუერტო-რიკოს ქალაქ სან-ხუანში გაიმართა, შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ოქროს მედალი გაინაღდა და საქართველოს სხვადასხვა ასაკის მშვენიერთა სქესის მოჭადრაკეთაგან მეხუთე მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ამავე ქალაქში 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა თეა ლანჩავამ.

ცოტა მოგვიანებით კოლუმბიის ქალაქ ტუნხაში 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობაზე პირველი ტურიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელმა ქეთევან კახიანმა, რომელმაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ქართველ მოჭადრაკე ქალთა მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

შვეიცარიის ქალაქ ბილში გამართულ დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში თბილისელმა ნანა იოსელიანმა და ავსტრიელმა ი. კლინგერმა 7-7 ქულა მოაგროვეს და მეორე შედეგი აჩვენეს. კლინგერს მეორე, ხოლო იოსელიანს მესამე ადგილი მიეკუთვნა.

თბილისელმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ამსტერდამში გამართულ მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა. ამის მერე იგი ლონდონის საერთაშორისო ტურნირში ჩაება და კვლავ გაიმარჯვა.

იმ დროს, როცა სან-ხუანში ჩვენი ნორჩი მოჭადრაკე გოგონები მსოფლიო ჩემპიონობისკენ ისწრაფვოდნენ, იქვე, მახლობელ ქალაქ ბაიამონში საქართველოს მოკრივეებიც იუნიორთა შორის იმავე ტიტულისთვის იბრძოდნენ. ჩვენს მოკრივეებს ჩვენივე მოჭადრაკეები ამხნევებდნენ. მოკრივეებსაც და სან-ხუანიდან ჩამოსულ გულშემატკივრებსაც გარჯა დაუფასდათ. თბილისელი არმენ ბურდიანცი ჩემპიონი გახდა. კიდევ ორმა თბილისელმა — დ. ავდალიანმა და კახა ბარავიმ შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ივლისში იუგოსლავიაში გამართულ იუნიორ ძალოსანთა მსოფლიო პირველობაში ჩვენი სპორტსმენების წარმატებათა შესახებ ინფორმაციებმა რედაქციამდე, სამწუხაროდ, დიდად დაიგვიანა. ამიტომ მან ივლისის „თვის მონაგარში" ასახვა ვერ ჰპოვა. ახლა იძულებულნი ვართ აგვისტოს „თვის მონაგარში" შევახსენოთ, რომ ცხინვალელი კახა კახიაშვილი ოქროს მედლით დაგვიბრუნდა, ხოლო საჩხერელმა გრიგოლ ჩუბინიძემ ბრინჯაო დაიმსახურა.

გაგვახარეს ახალგაზრდებმა შორის მსოფლიო ჩემპიონობისთვის მებრძოლმა საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეებმაც. ბუდაპეშტიდან ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ ქუთაისელი გიორგი კოღუაშვილი და ონის რაიონის სოფელ ბაჯიხევის მკვიდრი ნაიბი დვალიძე.

პოლონეთის ქალაქ ლოძში გამართული თავისუფალი სტილის მოჭიდავე ჭაბუკთა (17 წლამდე) ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „მეგობრობა" ბედნიერი აღმოჩნდა ქუთაისელი კახა ლევიძისათვის, რომელმაც ოქროს მედალი დაისაკუთრა.

დიდად გაგვახარა ფოთელმა ხათუნა კორკელიამ, რომელმაც საბერძნეთის ქალაქ იანინის ტბაზე გამართულ ახალგაზრდა წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატზე ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა.

მანამდე კორკელიამ ფელდბურგში (გდრ) გამართულ სოციალისტური ქვეყნების შეჯიბრებაში („მეგობრობის თასი"), რომელშიც ამერიკელი და კანადელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, სამი პირველი ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა კიდევ ერთი ფოთელი სპორტსმენი — გენადი პეტრუხინი, რომელმაც თავის ასაკობრივ ჯგუფში ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ლონდონის გარეუბანში გამართულ ევროპის იუნიორ მშვილდოსანთა ჩემპიონატიდან გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ თბილისელები ნატო ნასარიძე და სულიკო თოფურია. მათ ოდესელ პოლინა სტეპანოვასთან ერთად გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს. ამას გარდა, ნატო ნასარიძემ პირად შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ახალგაზრდა (22 წლამდე ასაკის) კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატში საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა მედეა მხეიძე, რომელიც ბილბაოდან ოქროს მედლით დაგვიბრუნდა.

ჩვენი საგზატკეცილო ველომრბოლები ბოლო წლებში აღმავლობის გზაზე რომ არიან, ეს დაადასტურა ხარკოვში გამართულმა საკავშირო პირველობამაც გოგონათა შორის (კრიტერიუმი). აქ უძლიერესის სახელი რუსთაველმა ინეტა კირიანოვამ მოიპოვა. ამავე შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილზე გავიდა ქობულეთელი ნატალია სამბაშიძე.

მოსკოვის ღია ჩემპიონატზე წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი ჩოგბურთელები ვლადიმერ გაბრიჩიძე და დავით კაჭარავა. ერთეულთა თანრიგში უძლიერესის სახელი გაბრიჩიძემ მოიპოვა, ხოლო კაჭარავა მესამე იყო, ორივემ ერთად კი წყვილთა ასპარეზობაში გაიმარჯვა.

„ამ გაგანია სიცხეში" — ამ რუბრიკით გამოვაქვეყნეთ ერთი მართლაცდა მოულოდნელი ინფორმაცია, რომელიც... მფრინავ მოთხილამურეთა შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის წარმატებაზე იუწყებოდა. ვოროხტაში (უკრაინა) „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ღია საკავშირო პირველობაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ბევრი უძლიერესი მფრინავი მოთხილამურე ჩაება, ბაკურიანელმა კახა წაქაძემ ყველას აჯობა 70-მეტრიანი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში.

### საქართველოს ინტერესებისათვის

# რაც შეძლო კავშირგაბმულობის სამინისტრომ, სხვებიც შეძლებენ







თბილისის რუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი. კავშირგაბმულობის ტექნიკუმის გვერდით, ხმელნიცკის ქუჩაზე, აშენდა ჯანმრთელობის ქალაქი. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტორიაზე მოხერხებულად განლაგდა 80X50 მეტრი ფართობის სტადიონი, კორტი, მინიფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის მოედნები. კომპლექსის ნამდვილი მშვენება გახლავთ მარმარილოთი მოპირკეთებული 25-მეტრიანი აუზი. ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევართა განკარგულებაშია, აგრეთვე, გასახდელები და საშხაპეები.

— აუზისა და ამ მოედნების ამოქმედებით, — გვითხრა ნიკოლოზ ბარდაველიძემ, საწარმოო გაერთიანება „საქკავშირმშენპროექტის" მეორე სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (სამუშაოებს ეს ორგანიზაცია აწარმოებს) წარმომადგენელმა, — დასრულდა კომპლექსის მშენებლობის პირველი რიგი. სამუშაოები გაგრძელდება — გათვალისწინებულია სამი ათასი მაყურებლისთვის განკუთვნილი ტრიბუნის, საუნის, კიდევ სამი კორტისა და გასახდელის აშენება. კეთილმოეწყობა კომპლექსის ტერიტორიაც. ამასთან, უკვე შენდება დახურული სპორტული დარბაზი.

ახლა აღარავინ დაობს იმაზე, რომ ჯანმრთელობა ეკონომიკური კატეგორიაა. წინდახედული ხელმძღვანელები აუცილებლად ზრუნავენ ფიზკულტურასა და სპორტში სამეცადინო პირობების შესაქმნელად — ჯანმრთელი მუშაკისგან ხომ უკუგებაც მეტია. კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების შემწეობით ამ სისტემის მუშაკებმა მართლაც მშვენიერი საჩუქარი მიიღეს. მაგრამ ამ კომპლექსის მომსახურებით მარტო ისინი როდი ისარგებლებენ — მისი კარი მუდამ ღია იქნება ახლომდებარე უბნების მცხოვრებთათვისაც. ისღა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ეს სპორტული კომპლექსი მუდამ ხალხით სავსე იყოს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე (ზემოდან-ქვევით): სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ხელბურთისა და ჩოგბურთის მოედნები; საერთო ხედი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

SOS

## ვინ დაგვეხმარება?

ვცხოვრობთ საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაურთაში. სოფელში ერთი ფეხბურთის მოედანია და ისიც სკოლისაა. ზაფხულობით არდადეგებზე იქ არავის უშვებენ, რადგან ბალახს ცელავენ. ეს სტადიონი ჩვენი უბნიდან 1 კმ-ითაა დაშორებული. ამას არ ვჩივივართ. როგორც მოგახსენეთ, მოედანზე არავინ გვიშვებს. გადავწყვიტეთ, ჩვენს უბანში მოგვეწყო მოედანი, რის შესახებაც ვთხოვეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მაგრამ ადგილი არ გამოგვიყო და ჩვენი ოცნება ოცნებად დარჩა. ბოლოს მაინც გამოვნახეთ სარბიელისათვის ადგილი, ჩვენი სახსრებით ვაკეთებდით ყველაფერს, თანხაც ავკრიბეთ უბანში სტადიონის კეთილმოსაწყობად და... ახლა ადგილის გადახვნით გვემუქრებიან.

გთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა ჩვენც გვქონდეს სპორტული მოედანი.

წინასწარ გიხდით მადლობას!

ზ. ცარციძე, ლ. გაჩეჩილაძე, მ. ლამბაშიძე, შ. მაჭარაშვილი... სულ 12 ხელმოწერა.

## წოდების მინიჭება

საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ძიუდოში — ნუკრი ჯალაბაძეს (გორი, პროფკავშირები)

ცურვაში — იანა ბიკოვას, დავით ნიჟარაძეს (ორივე — თბილისი, „დინამო").

ციგაობაში — კახაბერ ვახტანგიშვილს, ლევან თიბილოვს (ორივე — ბაკურიანი).

უიარაღოდ თავდაცვაში — თეიმურაზ არაბულს (გურჯაანი, „დინამო"), იოსებ ჯიჭოშვილს, შალვა ტალახაძეს (ორივე — თბილისი, „დინამო").

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეჯამდება ადგილობრივი პრესის მუშაობა

საქართველოს სპორტსახკომმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა და სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის რაიონულ საქალაქო (გაერთიანებულ) გაზეთებში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხების გაშუქების კონკურს-დათვალიერების შესახებ".

კონკურს-დათვალიერების მიზანია ადგილობრივი პრესის მეშვეობით ფიზკულტურასა და სპორტში მსოფლიო და სამამულო თანამედროვე მიღწევების — მეცნიერების, ტექნიკის, თეორიული და პრაქტიკული სიახლეების გაშუქება; მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთის პროპაგანდა; გამაჯანსაღებელი კლუბების, ჯგუფების, სექციების გამოცდილების განზოგადება; რეკომენდაციების, ვარჯიშთა კომპლექსების გამოქვეყნება.

კონკურს-დათვალიერების პირობებით დიდი ყურადღება ექცევა, აგრეთვე, ფიზკულტურული კოლექტივების, აქტივისტების საქმიანობის, ფიზკულტურული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხების და ა. შ. გაშუქებას.

კონკურს-დათვალიერება ეწყობა 1989-1990 წლებში ცალ-ცალკე. 1989 წლის შედეგები შეჯამდება 1990 წლის 1 თებერვლისთვის, 1990-ისა 1991 წლის 1 თებერვლისათვის. შედეგებს შეაჯამებს ჟიური, საქართველოს სპორტსახკომში წარდგენილი მასალების მიხედვით (მისამართი: თბილისი, 62, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49-ა. კონვერტზე აღნიშნეთ დევიზი — „პრესა").

საუკეთესო ნამუშევრებისათვის დაწესებულია ჯილდოები: ერთი პირველი პრემია — 300 მან, ორი მეორე პრემია — 200-200 მან; სამი მესამე პრემია — 100-100 მან.



# ერთ თვეში ორი გამარჯვება

როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, ლონდონში მიმდინარეობდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ბოლო ტურამდე ლიდერობდა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. სამწუხაროდ, საკდესი არაფერს იტყობინებოდა ამ შეჯიბრების შესახებ. არადა, თურმე სასიხარულო ცნობა უნდა მიგვეღო. აზმაიფარაშვილს ბოლო ტურში გასამარჯვებლად ყაიმიც აძლევდა ხელს. და ასეც მოხდა — იგი დაუზავდა თავის უშუალო კონკურენტს ინგლისელ საერთაშორისო ოსტატ მარკ ჰებდენს და 10-დან 8,5 ქულით დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი.

ალბათ გახსოვთ, ლონდონის ტურნირში ზურაბ აზმაიფარაშვილი ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ ჩავიდა. ეს ქართველი დიდოსტატის უდავოდ დიდი წარმატებაა!

სურათზე: ზ. აზმაიფარაშვილი.

# ექვსეული ცნობილია

ადრე უკვე ვიუწყებოდით, რომ მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში გაიმარჯვა გარი კასპაროვმა, მსოფლიო ჩემპიონმა 83 ქულა მოაგროვა და 2 ქულით გაუსწრო მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვს. 68,5 ქულით მესამე შედეგი აქვს ვალერი სალოვს. იან ელვესტმა (ყველა — სსრ კავშირი) 68 ქულა მოაგროვა, ლიუბომირ ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) — 66,5, ჯონ ნანმა (ინგლისი) —65,5. სწორედ ამ ექვსმა მოჭადრაკემ მიიღო უფლება „გვერდი აუქციოს" შესარჩევ ტურნირებს და ითამაშოს თასის მეორე გათამაშების გადამწყვეტ ეტაპებში, რომელიც 1990-1991 წლებში, ისევე როგორც ეს პირველ გათამაშებაში იყო, ექვს ეტაპად ჩატარდება.

მსოფლიო თასის I გათამაშებაში ადგილები ასე განაწილდა: 7-8. ალექსანდრე ბელიავსკი (სსრ კავშირი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — 63,5-63,5 ქულა, 9-10. რობერტ ჰიუბნერი (გფრ), იან ტიმანი (ჰოლანდია) — 57,5-57-5, 11. ანდრეი სოკოლოვი (სსრ კავშირი) — 57, 12. ლაიოშ პორტიში (უნგრეთი) — 56, 13. მიხეილ ტალი (სსრ კავშირი) — 55,5, 14. დიულა საქსი (უნგრეთი) — 54, 15. ულფ ანდერსონი (შვეცია) — 53,5, 16. იასერ სეირავანი (აშშ) — 52,5, 17. ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 52, 18. ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 51, 19. რაფაელ ვაჰანიანი — 49,5, 20. არტურ იუსუპოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 47,5, 21. ბორის სპასკი (საფრანგეთი) — 45,5, 22. პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 43,5, 23. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 43, 24. იოჰან ჰიარტარსონი (ისლანდია) —40, 25. ჰესუს ნოგეირასი (კუბა) — 37.

რაც შეეხება შვეციის ქალაქ შელეფტეოში დამთავრებულ ტურნირს, რომელიც თასის გათამაშების VI, დასკვნითი ეტაპი იყო, მას ორი გამარჯვებული ჰყავს. გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი — 9,5-9,5 ქულა. 8,5-8,5 ქულით III-V ადგილები გაიყვეს ლაიოშ პორტიშმა, იასერ სეირავანმა და ნაიჯელ შორტმა.

# ფედერაციის თასზე

4 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. სამივე შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა: მინსკის „დინამომ" მოუგო ოდესის „ჩერნომორეცს" — 2:1, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" — მოსკოვის „ტორპედოს" — 2:0, ხოლო მოსკოვის „დინამომ" — ვოლგოგრადის „როტორს" — 3:1.

გუშინ დონეცკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „შახტიორი" და დუშანბეს „პამირი".

# საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### იტალია

I ტური. „ასკოლი" — „ნაპოლი" 0:1, „ატლანტა" — „ვერონა" 1:0, „ინტერი" — „კრემონეზე" 2:1, „ჯენოვა" — „ლეჩე" 1:0, „ლაციო" — „სამპდორია" 0:2, „იუვენტუსი" — „ბოლონია" 1:1, „ჩეზენა" — „მილანი" 0:3, „უდინეზე" — „რომა" 1:1, „ბარი" — „ფიორენტინა" 1:1.

### რუმინეთი

I ტური: „სიბიუ" — „კლუჟი" 4:1, „სტიაუა" — „მორენი" 3:0, „არჯესი" — „დინამო" 0:2, „ვიქტორია" — „კონსტანცა" 1:1, „ბაკაუ" — „ბრაშოვი" 0:0, „ჰუნედოარა" — „სპორტული" 2:1, „ტიმოშოარა" — „ორადეა" 1:2, „პეტროსანი" — „კრაიოვა" 1:1, „პლოეშტი" — „ოლტი" 1:0.

### შოტლანდია

მე-3 ტური: „აბერდინი" — „დანდი" 1:0, „სელტიკი" — „რეინჯერსი" 1:1, „მოზერეული" — „სენტ მირენი" 3:1, „დანდი იუნაიტედი" — „დანფერმლაინი" 2:1, „ჰართსი" — „ჰიბერნიანი" 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „სელტიკი" | 3 | 5 |
| „აბერდინი" | 3 | 5 |
| „მოზერეული" | 3 | 4 |

### გფრ

მე-6 ტური: „ჰომბურგი" — „ვერდერი" 1:1, „ბოჰუმი" — „შტუტგარტი" 2:0, „კარლსრუე" — „სენტ პაული" 0:0, „კიოლნი" — „ლევერკუზენი" 1:1, „მანჰეიმი" — „ბაიერნი" 1:0, „ჰამბურგი" — „კაიზერსლაუტერნი" 3:0, „აინტრახტი" — „იურდინგენი" 2:1, „ნიურნბერგი" — „დიუსელდორფი" 3:0, „მიონჰენგლადბახი" — „დორტმუნდი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აინტრახტი" | 6 | 13-5 | 10 |
| „ბაიერნი" | 6 | 12-7 | 8 |
| „კიოლნი" | 6 | 10-9 | 8 |

### პორტუგალია

მე-2 ტური: „ნასიონალი" — „პორტიმონენსე" 1:1, „ამადორია" — „ფეირენსე" 3:0, „ბოავიშტა" — „შავიში" 2:0, „სეტუბალი" — „მარიტიმო" 2:1, „ბეირა" — „სპორტინგი" 0:1, „პენაფიელი" — „პორტო" 0:2, „გიმარაეში" — „ბენფიკა" 1:1, „უნიაო" — „ტირსენსე" 0:0, „ბელენენსეში" — „ბრაგა" 2:1.

| | | |
|---|---|---|
| „პორტო" | 2 | 4 |
| „სპორტინგი" | 2 | 4 |
| „ბოავიშტა" | 2 | 3 |

### ავსტრია

მე-8 ტური. „გრაცერი" — „ვინერ სკ" 0:1, „ვიენა" — „ტიროლი" 1:3, „აუსტრია" — „ადმირა" 6:0, „კრემსერი" — „სენტ პოლტენი" 1:1, „ზალცბურგი" — „რაპიდი" 2:2, „შტეირი" — „შტურმი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 8 | 20-9 | 13 |
| „აუსტრია" | 8 | 19-9 | 11 |
| „რაპიდი" | 8 | 20-14 | 10 |

### ინგლისი

მე-8 ტური. „არსენალი" — „უიმბლდონი" 0:0, „ასტონ ვილა" — „ჩარლტონი" 1:1, „ჩელსი" — „შეფილდი" 4:0, „მილუოლი" — „ნოტინგემი" 1:0, „ნორვიჩი" — „ქუინს პარკი" 0:0, „ევერტონი" — „საუთჰემპტონი" 3:0, „კრისტალ პალასი" — „ქოვენთრი" 0:1, „დერბი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 2:0, „ლუტონი" — „ლივერპული" 0:0, „მანჩესტერ სიტი" — „ტოტენჰემი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩელსი" | 3 | 6-1 | 7 |
| „მილუოლი" | 3 | 5-3 | 7 |
| „ევერტონი" | 3 | 5-3 | 6 |

### საფრანგეთი

მე-7 ტური. „კაენი" — „ბორდო" 1:0, „რესინგი" — „მარსელი" 1:1, „მეცი" — „ნანტი" 1:1, „მონპელიე" — „ლიონი" 2:0, „ლილი" — „მულუზი" 1:1, „სოშო" — „ოსერი" 0:0, „ბრესტი" — „სენ ჟერმენი" 0:1, „ტულონი" — „მონაკო" 2:0, „ნიცა" — „ტულუზა" 1:1, „სენტ ეტიენი" — „კანი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 7 | 9-2 | 11 |
| „სენ ჟერმენი" | 7 | 11-7 | 11 |
| „მარსელი" | 7 | 12-6 | 10 |

### შვეიცარია

მე-9 ტური. „სერვეტი" — „ლუცერნი" 1:0, „ბელინცონა" — „სენტ გალენი" 2:1, „ვეტინგენი" — „ქსამაქსი" 0:4, „იანგ ბოისი" — „არაუ" 0:0, „გრასჰოპერსი" — „ლოზანა" 1:2, „სიონი" — „ლუგანო" 3:1.

| | | |
|---|---|---|
| „ქსამაქსი" | 9 | 15 |
| „სიონი" | 9 | 13 |
| „სერვეტი" | 9 | 11 |

### იუგოსლავია

მე-5 ტური: „რადი" — „პარტიზანი" 1:1 (6:5), „სუბოტიცა" — „ვარდარი" 2:0, „დინამო" — „ჟელეზნიჩარი" 2:0, „რიეკა" — „ველეჟი" 1:0, „ბუდუჩნოსტი" — „ბანია ლუკა" 2:1, „სარაევო" — „ნიში" 5:1, „ლიუბლიანა" — „ჰაიდუკი" 3:1, „ცრვენა ზვეზდა" — „ოსიეკი" 3:1, „ტუზლა" — „ვოივოდინა" 2:0.

### ჩეხოსლოვაკია

მე-8 ტური. „ზბროიოვკა" — „ბოჰემიანსი" 1:5, „ვიტკოვიცე" — „ბანიკი" 0:2, „დუკლა" — „ტრნავა" 1:1, „ბოვაქსკა ბისტრიცა" — „ნიტრა" 3:1, „რუდა ჰვეზდა" — „ბანსკა ბისტრიცა" 1:0, „დუნაისკა სტრედა" — „ოლომოუცი" 2:0, „სლოვანი" — „სპარტა" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბოჰემიანსი" | 8 | 8-2 | 5 |
| „სპარტა" | 3 | 6-3 | 5 |
| „სლოვანი" | 3 | 3-0 | 5 |

### დანია

მე-15 ტური. „ფრამი" — „ჰერფოლგე" 3:0, „ბრონშიო" — „სილკებორგი" 1:2, „ნესტვედი" — „ვეილე" 1:2, „1903 კოპენჰაგენი" — „ოლბორგი" 2:1, „ოდენსე 1913" — „ლუნგბიუ" 1:3, „იკასტი" — „ოდენსე ბკ" 0:0, „ორჰუსი" — „ბრონდბიუ" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრონდბიუ" | 15 | 31-14 | 23 |
| „ოდენსე ბკ" | 15 | 23-10 | 23 |
| „ვეილე" | 15 | 23-11 | 23 |

### ჰოლანდია

მე-5 ტური. „აიაქსი" — „მაასტრიხტი" 5:0, „ნიემიგენი" — „ეინდჰოვენი" 1:4, „როდა" — „ვალვიკი" 3:0, „ჰარლემი" — „ფეიენორდი" 3:1, „ჰააგა" — „ტვენტე" 3:1, „ტილბურგი" — „ვოლენდამი" 5:1, „დენ ბოში" — „უტრეხტი" 2:0, „გრონინგენი" — „სიტარდი" 0:0, „სპარტა" — „არნჰეიმი" 1:1.

| | | |
|---|---|---|
| „როდა" | 5 | 8 |
| „ვალვიკი" | 5 | 7 |
| „აიაქსი" | 5 | 6 |

(საქ. ინფ.)

# მარადონა კვლავ იტალიაში

ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას თაობაზე ბოლო ხანებში გაუთავებლად ლაპარაკობენ უცხოეთის გაზეთები. მარადონა იტალიის „ნაპოლიში" გამოდის, ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი უკვე დაიწყო, მაგრამ მარადონა იტალიაში დათქმულ დროს არ გამოჩენილა.

ბოლოს, იტალიელ ფეხბურთის მოყვარულთა სასიხარულოდ, მარადონა, როგორც იქნა, ჩავიდა იტალიაში.

ცნობილია, რომ მარადონას რთული პრობლემები შეექმნა „ნაპოლისთან" იმის გამო, რომ კლუბის გამგეობამ არ ისურვა ელიარებინა ფეხბურთელის უფლება საფრანგეთის ქალაქ მარსელის „ოლიმპიკთან" ხელსაყრელი კონტრაქტის დადების თაობაზე. ცნობილია, რომ „ოლიმპიკის" პრეზიდენტმა ბერნარდ ტაპიმ მარადონას წლიურად 3 მილიონი დოლარი აღუთქვა იმ მილიონნახევრის სანაცვლოდ, რომელსაც არგენტინელი ფეხბურთელი „ნაპოლიში" ღებულობს.

„ნაპოლიმ" იტალიის ჩემპიონატის ორი მატჩი უკვე ჩაატარა უმარადონოდ და იგი ახლა ვალდებულია კლუბის ხელმძღვანელობას განუმარტოს თავისი დაგვიანების მიზეზები.

# დღესაც სიყალბე?!

რაზედაც ქვემოთ ვწერთ, არა მარტო მათთვის იქნება საწყენი, ვისაც ეს რეპლიკა უშუალოდ ეხება, არამედ ამ ამბავზე წერა არასასიამოვნოა ჩვენთვისაც, რადგან „ლელოს" გუშინდელ ნომერში მკითხველს უკვე ვაუწყეთ იმ საჭირო და საინტერესო ღონისძიებების შესახებ, რომელიც წლევანდელი გახანგრძლივებული არდადეგების პერიოდში მოსწავლეთა დასვენებასა და ორგანიზმის გაკაჟებას შეუწყობდა ხელს, მაგრამ...

ამ დღეებში „ლელოს" რედაქციაში მივიღეთ ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის მომართვა და მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა. ამ გეგმით 4 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე თბილისის სპორტულ ბაზებზე იწვევდნენ საქალაქო ბანაკებში გაერთიანებულ მოსწავლეებს. ეს გეგმა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოვაქვეყნეთ. გუშინვე ვეწვიეთ ცენტრალურ საწყლოსნო სპორტულ კომპლექსს სანაპიროზე, სადაც წარმოდგენილი გეგმის მიხედვით 11-სთ-დან აუზი პატარებით აჟრიამულებული უნდა გვენახა. სამწუხაროდ, აუზი ცარიელი დაგვხვდა. როგორც საწყლოსნო კომპლექსის დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა თქვა, ბანაკებს ორი აკადემიური საათი გამოეყო, 11-დან 12 საათსა და 30 წუთამდე.

ჩვენ კი დავძენთ, რომ ეს ის დროა, როცა ლამის მთელი თბილისი ამ აუზზე იყრის თავს. დღეს აუზის სალაროებთან მიმართვებზე რიგია. რიგია, თუმცა მიმართვები არ არის. არ არის, რადგან ეს დრო მოსწავლეებს აქვთ დათმობილი. მოსწავლეები კი არ ჩანან. არ ვიცით, ჯერ არ დაკომპლექტებულა ბანაკები თუ მასში მომუშავე პედაგოგებს არ უნდათ აუტკივარი თავის ატკივება. წყალთან თამაში ხომ მაინც საშიშია. და მოვლენათა ჯაჭვში წაგებული რჩება ყველა... ჩვენც, ვინც აჟრიამულებული და აზმაურებული აუზის ნახვას მოველოდით, აუზის დირექციაც, რომელიც თვითდაფინანსებაზეა გადასული და ამ ერთი თვის განმავლობაში ვინ იცის, რამდენ ზარალს ნახავს და ყველაზე მთავარი, პატარები, რომელთაც წყალი და წყალში ნებივრობა ნაყინსაც ურჩევნიათ.

საინტერესოა, მიიღეს თუ არა იგივე მიმართვები და ღონისძიებათა გეგმები ქალაქის პიონერულმა ბანაკებმა, თუ მიიღეს, სად არიან, რატომ არ აკითხავენ აუზის დირექციას, ვის სჭირდება ეს ცარიელი გეგმა, რომელიც რედაქციაში გვიდევს, თუ ბავშვის გულმა არ გაიხარა. დანაშაული (არ ვერიდებით ამ სიტყვის თქმას) ხომ უფრო მძიმეა, როცა საქმე ჩვენს მოზარდებზე მოჩვენებით ზრუნვას ეხება. გვაქვს ამის უფლება? აღარ დადგა გარდაქმნის დრო?

რედაქცია ამ ფაქტის შეფასებას და პასუხს ელოდება, ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი კი პატარებს მოელის. ნუთუ უიმედოდ?!

ინგა ჩახვაშვილი.

P. S. ეს წერილი მზად იყო, როცა ჩვენი კორესპონდენტი ვასილ ვაშაკიძე თბილისის მე-100 საშუალო სკოლიდან დაბრუნდა და იქიდანაც სავანგაშო ამბავი მოგვიტანა. რედაქციაში წარმოდგენილი გეგმით ამ სკოლაში 4 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო ჭადრაკის კვირეული. ეს ღონისძიებაც მხოლოდ ქაღალდზე დაგეგმილი აღმოჩნდა. ვინ აგებს პასუხს?

## მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია, საქართველოს პირველობა 14-15 და 16-17 წლის ჭაბუკ მოზარდ ფეხბურთელთა შორის და „სიჭაბუკის თასის" გათამაშება 13-14-წლიანებისთვის, ტრადიციულად ტარდებოდა ყოველ წელს შემოდგომით. სექტემბერი დადგა, ამ შეჯიბრების შესახებ კი არაფერი ისმის. რაშია საქმე?

ბექან კირვალიძე,
თბილისი.

რედაქციამ ეს წერილი გააცნო საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს რეზერვების განყოფილების უფროს მწვრთნელს გურამ გვანცელაძეს, რომელმაც თქვა:

— წელს შეჯიბრებები ყველა ასაკში, რომელიც აინტერესებს ბექან კირვალიძეს, 1 ოქტომბრიდან დაიწყება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვაცნობო სპორტული სკოლების ხელმძღვანელობას, რომ განაცხადი ყველა ასაკში უნდა წარმოადგინონ ფეხბურთის სამმართველოში არაუგვიანეს 22 სექტემბრისა.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

**როგორც** გაუწყეთ, „ბ“ ნახევარფინალის მეოთხე ტურის მატჩში ქუთაისის „აიამ“ თბილისში სძლია „ელმავალს“ — 19:14. ამავე ქვეჯგუფში მოსკოვის „ფილი“ შინ დამარცხდა კრასნოიარსკის ეტს-სთან — 9:15.

„ა“ ქვეჯგუფში მოსკოვის „სლავამ“ თავის მოედანზე მოულოდნელად წააგო „ლოკომოტივთან“ — 0:15 და საბოლოოდ დაჰკარგა პირველ ოთხეულში მოხვედრის შანსი. კიევში იქაური „ავიატორისა“ და მონინოს სსა-ს შეხვედრა არ გამართულა.

ამრიგად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უკვე დაიბევა ადგილი ფინალურ ოთხეულში. მისი გასწრების წმინდა თეორიული შანსი რჩება მხოლოდ კიევის „ავიატორს“. ამისათვის „ლოკომოტივმა“ ორივე დარჩენილი თამაში უნდა წააგოს, „ავიატორმა“ კი შინ აუცილებლად უნდა მოუგოს სსა-სა და „სლავას“ და თავად „ლოკომოტივსაც“ (მოსკოვში, თანაც, სულ ცოტა, 10 ქულის სხვაობით).

რაკიღა გაირკვა ოთხეულები, I-IV და V-VIII ადგილებისათვის რომ გააგრძელებენ ბრძოლას, ამიერიდან შემოგთავაზებთ ცხრილებს, რომლებშიც გუნდების განლაგების კრიტერიუმი „ოქროს“ ქულების მეტობა იქნება. ამასთან, ფრჩხილებში საორიენტაციოდ მივუთითებთ ქულათა საერთო რაოდენობასა და იმ ნახევარფინალური ქვეჯგუფის ინდექსს, რომელშიც გუნდი ამჟამად ასპარეზობს.



**ბათამაშების ცხრილები**

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

(I-IV ადგილები).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 4 | 4 | 0 | 0 | 8 | (39 ბ) |
| ეტს | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | (38 ბ) |
| სსა | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | (39 ა) |
| „ლოკომ.“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3 | (31 ა) |

(V-VIII ადგილები)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავიატ.“ | 3 | 1 | 2 | 0 | 4 | (25 ა) |
| „სლავა“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4 | (26 ა) |
| „ფილი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | (21 ბ) |
| „ელმავ.“ | 3 | 0 | 0 | 3 | 0 | (22 ბ) |

მეხუთე ტურში, დღეს, ითამაშებენ: „ლოკომოტივი“ — სსა, „ავიატორი“ — „სლავა“; „აია“ — ეტს, „ფილი“ — „ელმავალი“.

# უნიკოტინო თამაშები

**იდეა** — ოლიმპიადის უნიკოტინო ზონად გადაქცევის შესახებ ადრეც წამოჭრილა, მაგრამ მისთვის ყური არავის მიუგდია. ამჯერად კი ბარსელონის (მომავალი თამაშების ქალაქი) მერის წინადადებას ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი სოკ-მა.

მიღებულ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჟურნალისტების, სპეციალისტების, მწვრთნელებისა და გულშემატკივართა უარი მოწევაზე მხოლოდ გააუმჯობესებს ილიმპიადის გარშემო ატმოსფეროს ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

თამაშების ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ შეწყვიტონ თამბაქოს ნაწარმის ყოველგვარი რეკლამა, აგრეთვე სპორტული სარბიელის მახლობლად აკრძალონ სიგარეტებით ვაჭრობა და საზოგადოებრივ ადგილებში მისი გაბოლება, ურჩებს საკმაოდ დიდი თანხით დაჯარიმება ელით.

ამ გადაწყვეტილების აუცილებლობის დასამტკიცებლად სოკ-ის ჟურნალ „ოლიმპიკ რევიუს“ მოჰყავს ევროპის წამყვან სპეციალისტ-ონკოლოგთა მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგები.

როგორც ცნობილია, თამბაქოს ბოლი ძალზე სახიფათოა არამწეველთათვის. დასავლეთ ევროპის არამწეველთა 40 პროცენტი შეიძლება დაავადდეს ფილტვების კიბოთი. მსოფლიო მასშტაბით ეს ციფრი 50-დან 70 პროცენტამდე მერყეობს. „ეს, რა თქმა უნდა, საშინელი ფაქტია, — აღნიშნავს მედიცინის დოქტორი სირასი, — მაგრამ ამის გამომზეურებით შეგვიძლია დაავადებულთა რიცხვის თანდათანობით შემცირების იმედი ვიქონიოთ. დრო იცვლება და ხალხიც მეტად ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე, ამასთან მოწევის მოდაც წარსულს ბარდება“.

„თამბაქო და ოლიმპიური მოძრაობა შეუთავსებელია“. ამიტომ ყველა აღფრთოვანებული შეხვდა გადაწყვეტილებას — ბარსელონის თამაშები ჩატარდეს ლოზუნგით — „ოლიმპიური მოძრაობა მოწევის წინააღმდეგ“.

მაიკ ტაისონი:

## „მოსკოვში ვიბრძოლებდი!“

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მაიკ ტაისონმა თავისი უკანასკნელი მატჩი მოიგო პრეტენდენტ კარლ უილიამსთან, სპორტულ პრესაში არ წყდება კამათი მისი მომავალი მეტოქის შესახებ.

თვით მსოფლიო ჩემპიონმა ატლანტიკ-სიტიში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სიამოვნებით გამართავდა მატჩს მოსკოვში (სადაც იგი შარშან იმყოფებოდა) ნებისმიერ მეტოქესთან.

## ლეონარდი—დურანი, მესამე შეხვედრა!

მიღწეულია შეთანხმება ახალშექმნილ სუპერსაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიო პირველობაზე შუგერ რეი ლეონარდისა და რობერტ დურანის მატჩის მოწყობის შესახებ. მატჩისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ ეს გამოჩენილი მოკრივეები აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თითო ბრძოლა მოიგეს.

მატჩი ჩატარდება ლას-ვეგასში (აშშ) 2 ნოემბერს. მსოფლიო ჩემპიონი ლეონარდი მიიღებს 14 მილიონ დოლარს, დურანი კი — 12.

## მაღალი ნორმატივები

დასავლეთგერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს საერთორესპუბლიკური სამკერდე სპორტული ნიშანი. მაგრამ ამ ნიშნის მისაღებად საჭიროა საკმაოდ რთული ნორმატივების ჩაბარება. შარშან, მაგალითად, მილიონი მსურველიდან ნიშნის მიღება მოახერხა მხოლოდ 820-მა კაცმა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ 100 და 3000 მეტრებზე რბენაში, ბირთვის კვრაში, ადგილიდან სიგრძეზე ხტომასა და 200 მეტრზე ცურვაში ნორმატივების ჩაბარებას სისტემატური წვრთნა სჭირდება.

**რედაქტორი**

**თ. გაჩეჩილაძე.**

# ...და ისევ დანაკლისი

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატმა სატურნირო ეკვატორი გადალახა. რაც უფრო უახლოვდება ასპარეზობა გადამწყვეტ ფაზას, მით უფრო ცოტა რჩება მასში საბჭოთა ჩოგბურთელი.

მერვედფინალში ჩვენმა გუნდმა კიდევ ორი დანაკლისი განიცადა. მეთექვსმეტე ნომრად განთესილი მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია) შეხვდა. ჩესნოკოვს აქ გამარჯვების შანსი, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. ამის მიუხედავად საბჭოთა ჩოგბურთელმა ფავორიტს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და ბრძოლა 3 საათისა და 45 წუთის შემდეგ დათმო — 3:6, 6:4, 6:1, 4:6, 3:6.

ლვოველი ლარისა სავჩენკოც ერთ-ერთ ფავორიტთან ჰელენა სუკოვასთან (ჩეხოსლოვაკია) თამაშობდა. საბჭოთა ჩოგბურთელი დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა — 6:4, 1:6, 2:6.

# უცნაური ჩვევა

ამერიკელმა მძლეოსანმა როჯერ კინგდომმა ამას წინათ ციურიხში ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი დაამყარა 110 მეტრზე თარჯრბენში. ამაში, სპორტსმენის განცხადებით, დაეხმარა... ტრანსატლანტიკური სატელეფონო კაბელით საუბარი დედასთან, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა. კინგდომს ამ საუბრისთვის საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუხდა, მაგრამ სპორტსმენს არ შეეძლო ტრადიციის დარღვევა.

„ერთხელ, საბერძნეთში ყოფნის დროს, გაიხსენა მან, მშობლებს საათნახევარი ვესაუბრე ტელეფონით. როგორც კი დავდე ყურმილი ოთახში შემოვიდა ადმინისტრატორი და განმიცხადა, რომ საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მომიხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არ მაქვს ბევრი ფული, ცუდ გუნებაზე არ დავმდგარვარ, ვინაიდან ვიცოდი, მშობლებთან საუბარი მეორე დღეს გამარჯვებაში შემიწყობდა ხელს და ასეც მოხდა“.

უცნაური ჩვევაა, მაგრამ ვერაფერს იტყვი, როცა ასეთ ახირებას სპორტსმენისთვის ასპროცენტიანი გამარჯვება მოაქვს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლე სპორტსმენთა მიღებას 1989-90 სასწავლო წლისათვის ბაკურიანის სასწავლო ფილიალში სპორტის შემდეგ სახეობებში: სამთო-სათხილამურო სპორტისა და ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომების სპეციალიზაციით.

სასწავლო ფილიალში სათანადო საკონკურსო ნორმატივების ჩაბარების საფუძველზე ჩაირიცხებიან:

VII კლასში არანაკლები II სპორტული თანრიგის მქონე მოსწავლე სპორტსმენები.

VIII-IX კლასებში არანაკლები I სპორტული თანრიგის მქონე მოსწავლე-სპორტსმენები.

X კლასში სპორტის ოსტატობის კანდიდატი მოსწავლე სპორტსმენები.

ნორმატივების ჩაბარება იწარმოებს საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში 29-30 სექტემბერს, დაბა ბაკურიანის ზამთრის სახეობათა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლაში, რომლის ბაზაზე გახსნილია სასწავლო ფილიალი.

სასწავლო ფილიალში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, ოთხჯერადი კვებით, სპეციალური ინვენტარით. მოსწავლეთა კონტიგენტი მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზეა.

სასწავლო ფილიალში სწავლა იწარმოებს სპეციალური გრაფიკით სპორტულ და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში ქართულ და რუსულ ჯგუფებში.

სწავლის დასაწყისი 1989 წლის 2 ოქტომბერი.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები 11 კლასის დამთავრების შემდეგ მიიღებენ საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს, ხოლო ის სპორტსმენები, რომლებიც მოხვდებიან ნაკრებ გუნდებში, 11 კლასის დამთავრების შემდეგ 2 წლით რჩებიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ საშუალო სპეციალური განათლების დიპლომს და ენიჭებათ კვალიფიკაცია პროფესიის მიხედვით „მწვრთნელი სპორტში“.

მისამართი: 383.736 — დაბა ბაკურიანი, ზამთრის სახეობათა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა, ტელ: 3-26.

**დირექცია.**

# ჯადოქარი საჭესთან

„სპაფრანკორშამპზე“ (ბელგია) გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მე-11 ეტაპი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ბელგიის „გრან პრი“.

„სპა“-ს სიგრძე 6,940 კმ-ია, 43 წრე კი შეადგენს 298,420 კმ-ს. ტრასის რეკორდი ეკუთვნის გერჰარდ ბერგერს (ავსტრია, „ფერარი“) — 2 წუთი და 00,772 წამი, საშუალო სიჩქარე — 206,869 კმ სთ.

საკვალიფიკაციო რბოლა კვლავ აირტონ სენამ მოიგო. ეს ბრაზილიელი პილოტის 37-ე საუკეთესო შედეგია (1 წუთი და 50,867 წამი, საშუალო სიჩქარე — 225,351 კმ სთ).

უამინდობის გამო შეჯიბრების დაწყება ნახევარი საათით გადაიდო. 26 მანქანა საწვრთნელ რბოლაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით განლაგდა სტარტზე. მათ შორის არ ჩანდა არც ერთი „ლოტუს-ჯადი“ — ნელსონ პიკემ და სატორუ ნაკაჰიმამ ვერ გაიარეს საკვალიფიკაციო რბოლა.

შუქნიშანზე ყველაზე სწრაფად აირტონ სენა გაიჭრა წინ და უკვე პირველივე წრეზე მისი „მაკლარენი“ საგრძნობლად უსწრებდა მეტოქეებს. ბრაზილიელი პილოტი ელვისებური სისწრაფით მიჰქროდა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ წვიმიან ამინდში მისი მომგები არავინაა. მეორე ადგილზე მყოფი ალენ პროსტი არც ცდილობდა დაწევას. იგი მხოლოდ „ფერარის“ პილოტების იერიშების მოგერიებას ცდილობდა, რასაც ფრანგმა პილოტმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. სენამ, დარწმუნდა რა, რომ მისი დამწევი არავინაა, სიჩქარეს უკლო და ისე დაამთავრა 43 წრე. ბრაზილიელმა პილოტმა ყველას შეახსენა, რომ სულაც არ აპირებს ჩემპიონის ტიტულის დათმობას.

აირტონ სენამ მე-19. წლევანდელ სეზონში კი მე-5 „გრან პრი“ მოიგო. დისტანცია დაფარა 1 საათში, 40 წუთსა და 54,196 წამში. ეს „მაკლარენის“ 78-ე გამარჯვებაა.

ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია:

1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9; 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი) — 6 (ორივე — „მაკლარენ-ჰონდა“); 3. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 4; 4. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 3; 5. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ-ფორდი“) — 2; 6.



დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ-ფორდი“) — 1.

ბელგიის ეტაპი ტიერი ბუტსანისთვის საიუბილეო, რიგით მე-100 იყო.

პირადი ჩათვლა:

1. ალენ პროსტი — 62; 2. აირტონ სენა — 51; 3. ნაიჯელ მენსელი — 38; 4. რიკარდო პატრეზე — 25; 5. ტიერი ბუტსანი — 20; 6. ალესანდრო ნანინი — 14, 7. ნელსონ პიკე — 9; 8-10. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ლოლა-ლამბორგინი“), ედი ჩივერი, დერეკ უორვიკი (ორივე — „ეროუზ-ფორდი“) — 6-6; 11. ჯონი ჰერბერტი — 5; 12-15. მაურიშიო გუჟელმინი (ბრაზილია, „მარჩ-ჯადი“), სტეფანო მოდენა (იტალია, „ბრებემ ჯადი“), ანდრეა დე ჩეზარისი, ალექს კაფი (ორივე — „დალარა-ფორდი“) — 4-4; 16-17. კრისტიან დანერი (გფრ, „რიალ-ფორდი“), ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი“) — 3-3; 18-20. რენე არნუ (საფრანგეთი, „ლიჟიე-ფორდი“), სტეფან იოჰანსონი, პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდო-ფორდი“) — 2-2; 21-25. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ-ფორდი“), გაბრიელე ტარკვინი („იტალია, „ა-ჟე-ეს-ფორდი“), მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ბრებემ-ჯადი“), ოლივიე გრუიარი (საფრანგეთი, „ლიჟიე-ფორდი“), ლუის პერეს-სალა (ესპანეთი, „მინარდი-ფორდი“) — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი“ — 113; 2. „უილიამსი“ — 45; 3. „ფერარი“ — 38; 4. „ბენეტონი“ — 19; 5. „ეროუზი“ — 12; 6. „ტაირელი“ — 10; 7. „ლოტუსი“ — 9; 8. „დალარა“ — 8; 9. „ბრებემი“ — 5; 10. „მარჩი“ — 4; 11-13. „რიალი“, „ლიჟიე“, „მინარდი“ — 3-3; 14. „ონიქსი“ — 2; 15. „ა-ჟე-ესი“ — 1 ქულა.

მომდევნო, მე-12 ეტაპი გაიმართება 10 სექტემბერს, იტალიაში „მონცას“ რეკონსტრუირებულ ტრასაზე.

**დავით ჩუბინიძე.**

ჩვენი მისამართი:
…ებისთვის — 380096, …ისი, ლენინის ქ. 14,
…შებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: კოსმარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 00358